

ცვლილებებით  
რეგისტრირებულია  
თბილისის საგადასახადო ინსპექციაში

“—“ “ —————“ 2006 წ.

№ . . . . . გადაწვეტილებით

კ ა ვ შ ი რ ი

კონსტიტუციის 42-ე მუხლი

წესდება

(ცვლილებები)

მიღებულია

2006 წლის 22 ივლისს  
საერთო კრების მიერ

2006 წ.

## 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. კავშირი “კონსტიტუციის 42-ე მუხლი” (შემდგომში “კავშირი“) არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი უფლებადაცვითი გაერთიანება.
- 1.2. კავშირი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.
- 1.3. კავშირი არის იურიდიული პირი, აქვს განცალკევებული ქონება და ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა სახის, მათ შორის სავალუტო, ანგარიშები ბანკში, მრგვალი ბეჭედი, ემბლემა და კავშირის მიერ დამტკიცებული სხვა სიმბოლიკა.
- 1.4. კავშირის იურიდიული მისამართია: თბილისი, მერაბ კოსტავას №6, მე-3 სართული, ტელეფონები: 99-88-56, 93-53-22.
- 1.5. კავშირი მოქმედებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

## 2. საქმიანობის მიზნები

- 2.1. საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის, ევროპის სასამართლო პრაქტიკის, საქართველოს იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დამკვიდრება და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა.
- 2.2. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებათა რეალიზაციის მექანიზმების ფორმირებაში მონაწილეობის მიღება.
- 2.3. კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება.
- 2.4. ადამიანის უფლებათა დამცველი პირებისათვის მათი საქმიანობის განხორციელებაში თანადგომა, მათ შორის ადვოკატის პრესტიჟისა და პროფესიული დონის ამაღლება.
- 2.5. მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფა და ხელშეწყობა.
- 2.6. ადამიანის უფლებათა სფეროში უცხოეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის შესწავლა და საქართველოში დანერგვა.
- 2.7. სამართლებრივი კულტურისა და მართლშეგნების დამკვიდრება.
- 2.8. სამეცნიერო და საგანმათლებლო საქმიანობა.
- 2.9. ადამიანის უფლებათა შესახებ დამოუკიდებელი და კომპენტენტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.
- 2.10. საგამომცემლო, საკლუბო და სხვა საქმიანობა.

## 3. კავშირის საქმიანობის ფორმები

საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კავშირი:

- აწეობს შეხვედრებს, კონფერენციებს, სემინარებს, დისკუსიებს და სხვა;
- ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი;
- თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან, მათ შორის იურისტთა პროფესიულ კავშირებთან, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;
- დახმარებას უწევს კავშირის წევრებს სამეცნიერო, საგანმათლებლო და სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით;
- ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;
- ავრცელებს სათანადო სამართლებრივ და სხვა სახის ინფორმაციასა და ლიტერატურას;
- ქმნის რეგიონალურ ორგანიზაციებს, ფილიალებს, წარმომადგენლობებს;
- ეწევა სხვა საქმიანობას, რაც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

## 4. კავშირის დამფუძნებლები:

კავშირის დამფუძნებლები არიან:

- ლია მუხაშაგია, დაბ. 1962 წლის 15 სექტემბერს თბილისში, იურისტი, მცხ. თბილისში, თემქის დას. მე-11 მ/რ-ნი, 1კვ. მე-15 კორ. ბ. №15.
- შორენა ნაზლაიძე, დაბადებული 1981 წლის 4 მარტს, რუსთავეში, თბილისის იურიდიული ინსტიტუტის სტუდენტი, მცხ. თბილისში, გოძიაშვილის ქ. 1
- ალექსანდრე გამყრელიძე, დაბადებული 1977 წლის 30 ნოემბერს, თბილისში, იურისტი, მცხ.თბილისში, კეკელიძის № 18, ბ. №24
- დავით არაბული, დაბადებული 1978 წლის 3 თებერვალს, თბილისში, იურისტი, მცხ.თბილისში, მიროტაძის ქ. №14
- ელგუჯა ყურუა, დაბადებული 1963 წლის 10 აგვისტოს, წაღენჯიხის რ-ნის დაბა ჯვარში, იურისტი, მცხ. თბილისში, გლდანის 1 მ/რ-ნი, მე-3 კორ. ბ. № 10.

## 5. კავშირის წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

5.1 კავშირის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აღიარებს კავშირის მიზნებსა და ამოცანებს და ასრულებს საწესდებო მოთხოვნებს. კავშირის წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა, ხუთი დადებითი, დახურული რეკომენდაციის საფუძველზე, რომელსაც გამოსცემს კავშირის ხუთი წევრი. ამასთან, არც ერთი რეკომენდატორი არ უნდა იყოს გამგეობის წევრი.

5.2 კავშირის წევრი უფლებამოსილია:

- აირჩიოს და არჩეულ იქნეს კავშირის ხელმძღვანელ და სხვა ორგანოებში;
- მიიღოს ინფორმაცია კავშირის საქმიანობის შესახებ;
- გაეცნოს საფინანსო და სხვა დოკუმენტაციას;
- მონაწილეობა მიიღოს კავშირის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;
- ისარგებლოს კავშირში არსებული ინფორმაციით;
- მონაწილეობა მიიღოს კავშირის პროგრამებში, პროექტებსა და სხვა საქმეთა წარმოებაში;
- გავიდეს კავშირიდან.

5.3 კავშირის წევრი ვალდებულია:

- გადაიხადოს საწევრო გადასახადი;
- შეასრულოს კავშირის საწესდებო მოთხოვნები;
- გაუფრთხილდეს კავშირის პრესტიჟსა და ქონებას;
- დაიცვას ეთიკის წესები და შინაგანაწესი.

## 6 კავშირის მმართველობა

6.1. კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომლის განსაკუთრებულ კომპენტაციას განეკუთვნება:

- წესდების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა;
- კავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- კავშირის გამგეობის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა და არჩევა;
- გამგეობის ანგარიშის დამტკიცება;
- კავშირის ბიუჯეტის დამტკიცება;
- გადაწყვეტილების მიღება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების შემოწმების მიზნით საჭიროების შემთხვევაში ქმნის სარევიზიო კომისიას;
- კავშირის წევრობის შეწყვეტა;
- ეთიკის წესების დარღვევის შემთხვევაში იმსჯელოს კავშირის წევრის მიერ ეთიკის წესისა და შინაგანაწესის დარღვევის საკითხებზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

6.2. საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კავშირის ყველა წევრს.

- 6.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კავშირის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
- 6.4. საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ფარული კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით. გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 6.5. საერთო კრება, როგორც წესი, მოიწვევა წელიწადში ერთხელ.
- 6.6. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა:
  - თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;
  - კავშირის წევრთა 1/10-ის მოთხოვნით;
  - გამგეობის გადაწყვეტილებით.
- 6.7. კავშირის საქმიანობას ხელმძღვანელობს კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და კავშირის აღმასრულებელი დირექტორი.

**6.8. გამგეობის თავმჯდომარე:**

- გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევს გამგეობა ხმათა უმრავლესობით;
- ხელმძღვანელობს კავშირის საქმიანობას;
- ანგარიშს აბარებს საერთო კრებას კავშირის საქმიანობის შესახებ;
- საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს კავშირის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- წარმართავს გამგეობის მუშაობას;

**6.9. აღმასრულებელი დირექტორი**

- გამგეობასთან შეთანხმებით მოქმედებს კავშირის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ანგარიშს აბარებს გამგეობას საქმიანობის შესახებ;
- გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტებს, საპროექტო წინადადებებსა და სხვ.
- ხელს აწერს კავშირის ფინანსურ დოკუმენტებს;
- განკარგავს და ანგარიშვალდებულია ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყენებაზე;
- წარმართავს კავშირის აპარატის მუშაობას;
- დებს ხელშეკრულებებს კავშირის სახელით;
- დაუშვებელია დანიშნულ იქნეს ზედიზედ 2-ზე მეტი უფლებამოსილების ვადით.
- 6.10. საერთო კრებებს შორის პერიოდში კავშირის საქმიანობას წარმართავს გამგეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

**6.11. გამგეობის წევრები:**

**მანანა კობახიძე(დაბ: 1968.02.03 თბილისი, იურისტი, მცხ: თბილისი, ბარნოვის ქ.№166 ბ.28)**  
**შორენა ნაზლაიძე (დაბ:1981.04.03 თბილისი, იურისტი, მცხ: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის I შეს., მე-3 ჩიხი, №1)**  
**კახაბერ კახაბერი(დაბ.1978.15.01.თბილისი, იურისტი,მცხ.თბილისი სანერგის ქI-ლი შეს.№27)**  
**ნინო ელბაქიძე(დაბ.1981.01.04 თბილისი, იურისტი,მცხ.თბილისი მუხიანი მე-4მკრ., კორ.31, ბ.40.)**  
**თამარ გაბისონია(დაბ.1980.10.03. ზუგდიდი,იურისტი, მცხ.თბილისი მუხიანის დას. 4ბმ/რ კორპ 31, ბინა 29)**

- 6.12. გამგეობის სხდომები მოიწვევა თავმჯდომარის მიერ ან გამგეობის წევრთა 1/3 ის მოთხოვნით.
- 6.13. გამგეობა უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
- 6.14. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ახალი გამგეობის არჩევამდე.
- 6.15. გამგეობა:
  - აირჩევა ერთი წლის ვადით;
  - გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე;

- ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ გამგეობის წევრად, ორზე მეტი უფლებამოსილების ვადით;
  - ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს 18 თვის ვადით;
  - ამტკიცებს პროგრამებს, პროექტებს, ქმნის სექციებისა და ჯგუფების ხელმძღვანელებსა და კოორდინატორებს;
  - ორგანიზებას უწევს საერთო კრების გამართვას;
  - აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს აპარატის შემადგენლობასა და ხელფასის ფონდს;
  - გამგეობა აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით აცხადებს კონკურსს ნებისმიერ ვაკანტურ თანამდებობაზე;
  - ამტკიცებს საკონკურსო კომისიას, 5 წევრის შემადგენლობით, რომელთაგანაც არ უნდა იყოს 2-ზე მეტი გამგეობის წევრი;
  - განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობასა და საქმიანობის წესს.
- 6.16. განიხილავს ყველა საკითხს რომელიც არ შედის საერთო კრების კომპეტენციაში.

## 7. კავშირის ქონება, სამეურნეო საქმიანობა და პასუხისმგებლობა

- 7.1. კავშირის ქონებას შეადგენს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის საჭირო ძირითადი ფონდები, საბრუნავი სახსრები და სხვა ფასეულობანი, რომელიც ასახულია კავშირის ბალანსში.
- 7.2. კავშირის ქონება იქმნება:
- საწევროებით;
  - გრანტებითა და შემოწირულობებით;
  - კავშირის მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული შემოსავლებით;
  - სხვა კანონიერი წყაროებით.
- 7.3. საწევროს ოდენობას განსაზღვრავს გამგეობა. საწევრო შენატანის ოდენობა შეადგენს თვეში 5(ხუთ) ლარს.
- 7.4. კავშირს უფლება აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აწარმოოს სამეურნეო საქმიანობა.
- 7.5. სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგება კავშირის წევრთა შორის არ განაწილდება და გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

## 8. კავშირის ლიკვიდაცია

- 8.1. კავშირის ლიკვიდაცია ხდება:
- საერთო კრების გადაწყვეტილებით;
  - კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 8.2. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა და განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას სასამართლოს (იუსტიციის სამინისტროს) მიერ დანიშნული ლიკვიდატორები. ლიკვიდატორები პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები.

მანანა კობახიძე

შორენა ნაზღაიძე

კახაბერ კახაბერი

ნინო ელბაქიძე

თამარ გაბისონია